საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბაქი)

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბაქი) (დაახლ. 1585–1658), პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი. რვა წლისა სწავლა-განათლების მისაღებად გააგზავნეს იტალიაში, სადაც ბერძნულ სკოლაში მიებარა სასწავლებლად. იქვე აღიკვეცა ბერად. დაახლოებით 1608 წელს საქართველოში დაბრუნდა და კახეთის მეფის - თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი გახდა. 1614 წელს იერუსალიმში წავიდა. 1625 წელს თეიმურაზ I-ის დავალებით დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ევროპაში. რომში იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ბეჭდვითი წიგნის გამოცემაში. 1629 წელს მისი დახმარებით ჩამოისხა ქართული ანბანი, შემუშავდა და გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი (პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი), შემდეგ - "ლოცვანი" ქართულ ენაზე. 1629 წელს ნ. ჩოლოყაშვილი საქართველოში დაბრუნდა, მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი გახდა. 1643-49 ნ. ჩოლოყაშვილი იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო. 1650 წელს ისევ საქართველოში დაბრუნდა. იყო იმერეთის სამეფო კარზე ლევან II დადიანთან. 1657 წელს, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ვამეყ III-მ თავის სხვა მოწინააღმდეგეთა შორის ჩოლოყაშვილიც შეიპყრო და იგი საპყრობილეში გარდაიცვალა. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისაკენ.